ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3225080

ნომერი: AR1488102

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 25.04.2017

გაცნობის თარიღი : 26.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩარგალი , N 79 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ გელაშვილი პ/ნ 01015014157
- თემქა, III მ/რ, კვ. I, კორპ. # 5, ბინა 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის №1636986 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 მარტის AR1488102 განცხადებით მომართა მოქალაქე ავთანდილ გელაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის №1636986 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 17

დეკემბრის №1636986 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ჩარგალის ქუჩა N79-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.04.001.095; ფართობი: 2346 კვ.მ.) სასტუმროს განთავსების მიზნით, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)-სა და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)-ის შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2015 წლის 17 თებერვლის # 1749140 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი №01.12.04.001.152, ფართობით: 2000 კვ.მ.);
სამსახურის 2016 წლის 21 მარტის # 2491025 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882015318035, მომზადების თარიღი: 10.06.2015 წ; საკადასტრო კოდით: №01.12.04.001.156, ფართობი – 1600 კვ.მ.);
სამსახურის 2016 წლის 17 ნოემბრის #2950370 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
ამჟამად განმმცხადებელი ითხოვს, ხსენებული გადაწყვეტილების საპროექტო ობიექტის დასახელებაში დაფიქსირდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ღია ავტოსადგომი, რაც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის №1636986 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებაში დაფიქსირდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ღია ავტოსადგომი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 დეკემბრის №1636986 გადაწყვეტილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.